ᲛᲘᲦᲔᲑᲐ და რედაქცია ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, სასახლის ქ., სახ. №-ᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐ.
ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ-ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ: ᲙᲕᲘᲠᲘᲗᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲘᲗᲐᲜ 10—3 ᲡᲐᲐᲗᲛᲔᲓᲘ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲠᲒᲚᲘᲡ 6—7 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ 10—3 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ.
ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ.
ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 363

ᲪᲘᲠᲮᲕᲘᲚᲘ

ᲥᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:
ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ 6 ᲛᲐᲗ. ᲠᲣᲑᲚᲘᲗ
ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ 60 ᲙᲐᲞ.
ᲪᲐᲚᲐᲠᲘ ᲜᲝᲛᲠᲘ 3 ᲙᲐᲞᲘᲗᲐᲜ
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲡ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 10 ᲙᲐᲞ., ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲘ—3 ᲙᲐᲞ.

ᲢᲘᲞᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
„ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲣᲠᲪᲔᲚᲘ“
ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲘ, ᲓᲕᲝᲠᲪᲝᲕᲐᲘᲐ ᲥᲣᲩᲐ № 8
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 363.

ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ
трехъ величинъ
и
ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ
продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и К°
Тифлисъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349

ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲫᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲭᲚᲔᲚᲘ
ᲬᲜᲘᲡ ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲬᲜᲘᲡ
ᲘᲧᲘᲚᲔᲑᲐ Ს. Პ. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘ.
ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲝᲠᲐᲚ-ᲛᲭᲔᲚᲐᲫᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 6.
(15—1)

ᲓᲐᲜᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ „ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲝᲠᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲓᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ
Т. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ
ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲔᲢᲘᲣᲚᲘ
ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲬᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡᲣᲠᲘ
ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.
ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲜᲘᲜᲐᲠᲑᲡ ᲐᲗᲘ ᲪᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲚᲘᲜᲯᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲦᲐᲠᲘᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲡ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲛᲐ 20%.
(16—16)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲐᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲜᲗᲐᲗᲐ ᲐᲛᲘᲡᲐᲜᲐᲒᲠᲝᲑᲐ „ᲨᲠᲝᲛᲐ“.
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲜᲗᲐᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲘᲗ, შეიდგინა ამხანაგობა და გახსნილ საამხანაგო ქარხანა.
ᲠᲐᲗᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲜᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲘᲦᲔᲓᲐ ᲐᲠᲒᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲗᲘᲡ: ᲡᲐᲮᲔᲠᲯᲝᲑᲚᲘᲡ, ᲡᲐᲡᲢᲔᲠᲯᲝᲑᲚᲘᲡ, ᲡᲐᲮᲘᲚᲣᲠᲗᲛᲭᲘᲡ, ᲡᲐᲮᲚᲐᲠᲯᲘᲡ (ᲢᲐᲯᲐᲠᲘ)
ᲘᲛᲘᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲘᲡ.
ᲛᲨᲝᲒᲔᲑᲘ: ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ, ᲨᲐᲤᲘᲡᲘᲡ, ᲙᲘᲠᲛᲐᲜᲘᲡ, ᲒᲠᲘᲜᲒᲘᲡ, ᲑᲣᲤᲔᲢᲘᲡ ᲨᲐᲤᲘᲡᲘᲡ, ᲬᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲚ, ᲩᲐᲠᲩᲘᲡ და სხვა. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲜᲘᲡᲔᲚᲘ.
ᲣᲛᲪᲐᲠᲘᲜ ᲛᲝᲛᲘᲪᲔᲑᲐᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲣᲤᲠᲝᲡᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველ წივნზე გადაწყვეტილ ფასს.
ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ: ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲪᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲡ, რომ ᲛᲝᲛᲔᲠᲯᲔᲚᲘ ᲥᲠᲝᲜ და ᲜᲐᲠᲘᲒᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ, მასალა ᲛᲨᲕᲔᲚᲘ და საქმე ᲒᲐᲬᲛᲣᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲜᲝᲑᲔᲗ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ.
ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲕᲘᲡ-ᲪᲘᲓᲝᲜᲘ: ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲮᲐᲚᲯᲘᲡ, ᲛᲣᲠᲜᲘᲡ-ᲞᲘᲢᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ.
(100—21)

ᲣᲠᲑᲔᲜᲘ L'urbain
ᲡᲐᲮᲝᲖᲐᲓᲝᲒᲝᲔᲑᲐ, რომელიც აზღვევს ᲝᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲖᲘᲗᲝᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსთვის.
ᲓᲐᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲓᲐᲜᲗᲐᲜ.
კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერკავკასიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲨᲘ**, მიხეილის ქ. № 9, პალმოვის სახლი. ტელეფონი № 543.
მოთავარი რწმუნებული ბატონ ᲣᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲘ ᲢᲐᲠ-ᲛᲝᲣᲬᲘᲜᲐᲒᲝ ᲜᲘᲜᲘᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲐᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲣᲠᲔᲡᲘᲡᲐᲡ ᲛᲘ ᲢᲐᲠ-ᲛᲝᲣᲬᲘᲜᲐᲒᲝ.
ᲪᲜᲝᲑᲘᲜᲘ და ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲕᲔᲯᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲥᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ.
Контора страховаго общ. **„ᲣᲠᲑᲔᲜᲘ“**
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.
(50—19)

ᲔᲥᲘᲛᲘ
Გ. Მ. ᲮᲘᲛᲘᲜᲘ
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 11—12-ᲛᲓᲔ და ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 7—8 ᲡᲐᲐᲗ.
ᲛᲘᲮᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 16.
Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.

ᲔᲥᲘᲛᲘ
Კ. Ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ
ᲥᲣᲠᲗᲐᲡᲐᲡ, ᲪᲮᲘᲠᲘᲡᲐᲡ და ᲥᲣᲠᲗᲐᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ.
ᲓᲦᲔ. 9—11 Ს. ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲔ 5—7 Ს.
ᲛᲘᲮᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲔᲜᲘᲡᲔᲘᲡᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ.
Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки.
(100—35)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲐ
Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐ.
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲠᲘᲡ 50 ᲡᲐᲬᲝᲚᲘᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲜᲘ: ᲨᲘᲨᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ, ᲜᲔᲠᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲗᲐᲒᲚᲔᲚᲘᲡ და ᲓᲐᲓᲐᲜᲘᲡ ᲐᲯᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲡ.
ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑ ᲡᲔᲠᲜᲝᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲜᲔᲑᲘ:
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲘ ᲡᲘᲜᲯᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 3 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

ᲗᲛᲘᲓᲔ: ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ და ᲒᲐᲠᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲬᲝᲛᲚᲝᲑᲡ **Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ.** ᲡᲐᲥᲘᲠᲝᲜᲒᲠᲘᲜᲝ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲡ და ᲡᲘᲜᲯᲘᲚᲘᲡᲐᲡ **Შ. Კ. ᲨᲐᲒᲠᲐᲢᲘ.**
ᲓᲦᲔᲗᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ **Მ. Თ. ᲙᲝᲒᲝᲜᲘ.**
20 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ—ᲓᲦᲔᲗᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ და ᲐᲧᲣᲠᲗᲠᲝᲑᲘᲡ **Dr Ф. ᲑᲐᲒᲔᲕᲘᲩᲘ.**
ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲡ—**Ი. Ჯ. ᲕᲐᲜᲬᲐᲕᲐᲫᲔ.**
ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ, ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲚᲔᲗᲝᲠᲝᲚᲝᲯᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ და ᲡᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ **Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.**
Лѣчебница С. В. Тофуріа въ Кутаисѣ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
* * ᲨᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐᲡᲐ. დადგა ᲗᲐᲝᲤᲣᲚᲘ, ᲗᲐᲜ ᲣᲛᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛᲝᲜᲘᲡ და ᲞᲐᲪᲐᲠᲐ ᲚᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ - ᲢᲔᲤᲔᲑᲘᲡ. ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲪᲣᲚᲔᲑᲘᲡ. ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐᲛᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲛ ᲘᲡᲘᲗᲝᲛ ᲣᲤᲐᲠᲘᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲘᲝᲠᲘᲥᲔᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲘᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲜᲘᲡ ᲐᲯᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲡ.
ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑ ᲡᲔᲠᲜᲝᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲜᲔᲑᲘ:
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲘ ᲡᲘᲜᲯᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 3 ᲡᲐᲐ-

ვების ტყეებში ორთავე ხეობაზე. თუ შეუბრალებელი თათარი ვერ მისწვდა ამ ჩვენს ხეობებს, რა ნაკლებ დღეს აყენებენ ტფილისიდან მოსული ჩარჩი კარაპეტები, ცხინვალიდან გეფურქვები, ადგილობრივი ბაღათარები და ნამეტნავად ბარული ირარიები და ივან-ივანერეფი. ეს ვაგბატონები მემამულეებისგან ჩალის ფასად ჰყიდულობენ ხე-ტყეს და ბაწარ-ადებით მიაქვთ ლაახეზე ტბეები.

არ შესწყდება ამ დაობლებულ ტყეებში ზამთარ-ბაფხეულ ცულის ჭაკა-ბუქი, რა იცის ¡ცხინვალელ ჭედელ-საქუთს ალმასივით დაბრეულმა ცულმა თუ რა ცოდოს ჩადის საშვილი-შვილოდ. ყოველ შემოკენეგაზე უფრო ძრიელ გააქეს ლაპლაპი და ერთი და ერთი შემოკკრა-ღა უნდა, რომ თვალშეუწვდენელი, უზარმაზარი ხე პირქვე დასცეს და დაავიწყოს ყველი ის რაც ჩვენის ძველთაგანების ამბები ახსოვდა.

თუ ასე შეუბრალებლად აჩეხენეს ეს ტყეები, უნდა დაიწყნეს ბელი ბრძანებებიდან ყველანი, რომ ამ ცოტა ხნის შემდეგ ეს საშვილიშვილო განძი და ქვეყნის სიმდიდრე მოლად მოისპობა ამ ორ ხეობაში და თვითეული ხე, რომ სამოლით ეძებნ იქნებ ვეღარც ჰპოვობდნენ; ტყის მოსპობას რა უბედურო შედეგი მოსდევს ეს ყველასათვის ხომ ანბანივით საცოდნელია.

დიდი ლიახვის მემამულენი ცოტას მაინც სარგებლობენ, მაგრამ საკვირველია პატარა ლიახვის მემამულეების საქმე, რომ სრულიად არ აქცევენ უურადღებას თავიანთ ტყეებს. ვინ იცნობს, რა მილეთის ხალხი არა სჩეხავს პატარა ლიახვზე ტყეს და რა კუთხისკენ არ მიაქვთ. ნეტავი ისე უსწორო-მასწოროდ არა სჩეხავდნენ და რაც უნდა ექნათ. დროა დაავნებოთ მამა-პაპურ უზრუნველობას და ყურადღებულობას თავი. დროა შეეხედოთ განათლებულ ხალხს და გადმოვიდოთ მაგალითი.

ნუ გავატიტყლებთ საცოდავ მთებს. ნუ მოვიხწრფფებთ სიცოცხლეს, ნუ გავალიარებენ ამაზე უმეტესად ჩვენს მიწა-წყალს; გაიყოს ძმურის თანხმობით ეს ამოდენა ტყე, ვოქვათ, თუნდ, ოც ნაწილად მივცეთ გასაჩეხად პირველი ნაწილი და სანამ მეოცე ნაწილებამდინ მივიდოდეს ჯერი, პირველი ისეც გამრთული ტყე იქნება.

მართალაძე

*** **ქართული სახალხო წარმოდგენები ტფილისში.** ჩვენ შეეტყეთ რომ ქართველ ახალგაზდა აქტიორებს შეუდგენიათ წრე სცენის მოყვარეთა დახმარებით და განზრახვა აქვთ მართონ სახალხო წარმოდგენები ქ. ტფილისში, საზაფხულო თეატრში, იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ. ადგილების ფასი იქნება ორი შაურიდან მანეთ ნახევრამდის. პირველი წარმოდგენა უკვე დანიშნულია პარასკევსათვის 7 აგვისტოს, წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება“ ანტონოვისა, დასასრულ დაიდგმება ბუნდოვანი სურათები.

*** **კუბანსათა მოკავკასიელთა მართველი** ბენ.-ად თავ. გ. ს. გოლიციინ ბეგუშინ დაბრუნდა ამასოუმნიდან ტფილისს.

*** **მაწას მგრა.** გუშინ ალიონზე ფილის 3 საათზე ტფილისში მიწის ძვრა იყო, რომელიც ათიოდე წუთს გაგარძელდა და მრავლი ძმინარ ხალხი გამოაღვიძა.

*** **გამოცხადება ხელმწიფე ამპერატორისა.** ივლისის 24-სა პეტერგოფში ხელმწიფე იმპერატორს სხვათა შორის, წარუდგენენ მთავარ-მართველის საბჭოს წევრი იაკიმოვი და ქუთაისის სამხედრო ახალი გუბერნატორი ვერშვილმანი.

*** **მასალები ეგზიმენესა** ტფილისის სამხედრო-საფიცრშლო სკოლაში (ნავთლულში) დაიწყება 25 აგვისტოს.

*** **სოხუმელებას თხოვნა.** სოხუმის მცხოვრებთ წარუდგენიათ კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციისთვის საერთო თხოვნა სოხუმში პორტის დაარსების შესახებ, და აგრეთვე რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომელსაც უნდა შეაერთოს პორტი ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიასთან.

*** **ბაგშვის შურას-მიბა.** სოფ. ოუისპირში (თელ. მაზ) ერთი 11 წლის ბიჭი, გლეხი ზაკარია გოროშვილი, წაჰკიდებია თავის სოფლელ ბიჭს, ათიოდე წლისას, ოსსებ ტოტოოლშვილს, პირველ მათგანს, იაგორაშვილს, შურის-საძიებლად საღამო ხანს ცეცხლი წაუკიდნია ტოტალაშვილის მშობლების სახლისათვის.

*** **ხელოსანთა გამგეობის საქმე.** 30 ივლისს ტფილისის გუბერნატორმა დ. ს. ს. ბიკოვმა მიიწვია თავისთან ხელოსანთა გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრნი და განუცხადა მათ, რომ საგუბერნო გამგეობამ გააუქმა ხელოსანთა კრების დადგენილება სარევიზიო კომისიის ამორჩევის შესახებთა; გარდა ამისა გუბერნატორმა დაწერილებით გამოაკითხა კომისიის წევრთ, თუ როგორი წესა-რიგი არსებობს ხელოსანთა გამგეობაშიო, და დაპპირდა მათ, ზამეგის მივიდეს ზოგიერთი უწესრიგობის მოსასპობადაო.

*** **სიჩაკარა ხელოსანთა მოუსვენარობა.** ხელოსანთა გამგეობის 20-ვა მამასახლისმა ახალი საჩივარი წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ ხელოსანთა მოუსვენარი, ბ. სერობიანეცი არ ასრულებს ხელოსანთა კრების დადგენილებას, მოუსავის ჯამაგირის შემცირების შესახებ, ამის გამო ამქრების გამგეგობათა ვეღარ მოუკრეფენთ გადასახადები და 54 ამქრის მოსამსახურე პირნი წლის დამდეგიდან დღემდე უჯამაგიროდ არიანნო.

*** † **ალექსანდრე მახ. მუნტო�sა.** 31 ივლისს, საღამოს 8 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, უეცრად გარდაიცვალა თავის ბინაზე კერძო ვეკილი ალექსანდრე მიხეილის ძე მუნტოიევი. განსვენებული საკვდილამდე რამდენიმე წუთის წინად დაბრუნდა ბინაზე, დიჯდა სტოლთან დასასვენებლად, შემდეგ ცუდად იგრძნო თავი, ადგა გასასვლელად, მაგრამ იქვე დაეცა იატაკზე და გარდაიცვალა.

*** **იმპერატორის ალექსანდრე მე-II ძეგლი.** მოსკოვის გაზეთების სიტყვით, იმპერატორის ალექსანდრე II-ის ძეგლი გამოგზავნილია პეტერბურგიდან ნაწილ-ნაწილ დახსნილი. ყველაზე უფრო დიდი ნაწილი ძეგლისა არის პორფირი რომელსაც 350 ფუთის სიმძიმე აქვს. სულ მთელი ძეგლი (ქანდაკება) სიმაღლით 8 არშინია და იწონის 900 ფუთს.

*** **კახური ღვინის მოთხოვნილება.** კავკაკიიდან აუწერენენ „სავეტრო სამრეწველო გაზეთს“, რომ კახური ღვინის მოთხოვნილება რამდენიმედ გაძლიერდა, განსაკუთრებით თხოულობენ აგარაკებში და ეოლგის ნაპირის ქალაქებში. იყიდება უწინდებურად ჩხოლოდ საშუალო ხარისხის ღვინო, ვედრო 8 მანეთიანი; უფრო ნაკლებად მაღალი ხარისხის ღვინო, ხოლო სულ არ გადის ძვირადი ხარისხისა.

*** **ნავთის ფასი ტფილისში.** ფუთობით ნაყიდი ნავთი ტფილისში ჯდება 1 მ. 20 კ.—1 მ. 25 კ. გამყიდველს კი ნავთი უჯდება სულ ფიდი 24 კ (აკციზი 60 კ., გადატანა 19-ოდე კ. თვითონ ნავთი ბაკში ამ ფასად 13—15 კ.) მაშასადამე გამყიდველი თითო ფუთზე იგებს სულ მცირე—26 კ., თუ გამოკაკლებთ აქედან ხარჯებს ვაჭრობაში, არა უმეტეს სამი კაპიკისა ფუთზე, დარჩება წმინდა მოგება—სულ მცირე—23 კაპ. ფუთზე. ვირეანქმბთან გაყიდულ ნავთზე მოგება, რაღა თქმა უნდა, ეიდევე უფრო დიდია. დასასრულ, ტფილისელი მოვაჭრეები ჰყიდიან სულ დაბალი ხარისხის ნავთს, რომელსაც ხშირად წვალობაც „უწყალობენენ“ ხოლმე და ისე თავგასულად ძარცვავენ მკვიდრთ.

*** **მადლობას გამოცხადებ.** ბ-ნო. რედაქტორო. უმორჩილესად გიბოდეთ ნება მიბოძოთ თქვენ ნ. პატივცემულ გაზეთის საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო დ. ქარცივაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შეჰკრება ჩემდა სასარგებლოთ ფული სულ 15 მან. და 25 კაპ. აგრეთვე უგულითადეს მადლობას ვუცხადებ იმ პირთ, რომლებმაც შეიწირეს აღმომჩინენს. ეს სია შემომწირველთა. თითო მანეთი შემოწირეს.

სოფიო ხიმონის ასულმა ჩხეიძემ, გრიგოლ ბერეეფანმა ნ. გოგიტიძემ ი. მაისურაძმ ნ. დინარაძემ მარკოზ ღლონტმა, № ცომაიიმ, ასლან სადრაძემ. თათალი შაური; ანასტასია შემშურაიანშვილმა, მართა ივანეს ასულმა გიდლაძემ, ნიკოლოზ იესუსძემ, ვალრამ კობალაძემ, გრიგოლ ანდრიასძე თოხლაძემ ორ-ორი ბაბაი ვასილ კილაძემ, ბაფელ რაზმაძემ ალექსი №-ში ხეთი შაური. ლალიკო ყორდანიამ თითო ბაბაი. ბუკა ჯანელიძემ იოსებ ბეგრელნაძემ, ფილიპე ცხოველიძემ, ვასილ ივანაძემ ტარიელ, ა. ჭელიშვილმა, ივანე ყიასაშვილმა, ვანო ცაგარელმა, № ქართველოვმა, № კლიმიევმა, № ფოშინმ. სამ-სამი შაური: იაკინთე აროშიძემ, „ვანო ყიფშიძემ, ორ-ორი შაური: № ეფელიანოვმა, № ნიდარაძემ, № ბეჟანოვმა, № ნარიმანოვმა ონასიმენ სულთამ, ფული მივიდე სრულიად მოსწველე თბილისის საბჭოს ინსტიტუტის ბარბარე პაალეს ასული თავბერიძე.

*** **ს. მაღატაკი.** მოსაკვლა. დღეს მარტყოფელები მხიარულად გამოიკეტრებიან ამ ერამთ მთ გაჩეღებული აქვთ კალოობა. იმოდენა მოსაკვლი მოსულიათ, რომ ზოგი ვერცკი ადგის ლეგზას. ვაზსაც კარგი პირ ეუნაზს.

— **ქართული წარმოდგენა.** არ. მარტყოფის „ინტელიგენციაა“ ცუდათ: 16 აგვისტოსათვის დანიშნული აქვთ ქართული წარმოდგენა. ამზადებენ შემდეგს პიესებს „ძაღნწი“ გრისთვისა „დ. ც. შვილი“ ჭავჭავაძსა, „ბრიგიტა“ შეაფში“ და დიერტისმენტი. ამ წარმოდგენის შემოსავალი დანიშნული სრულებ აქაურ მომალელ სამკითხველოსთვის.

ბ.

სასამართლოს მატიანე

—

სამი ადამიანის მოკვლის საქმე. 1 ივლისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა სოფ. მარელისში (იმერეთი) პართენ მაღრაძის, მისი ცოლის და მათი ერთი თვის ბალღის მოკვლის საქმე. მკვლელებს: გლახუა მაღრაძეს (მოკლულის პართენის ძმას), სარდიონ მაღრაძეს (იმავე პართენის ნათლულს და შვილობილს) და იმავე მაზრის სოფ. ხვისის აზნაურს სოლომონ გვერდწითელს ჰქონდათ მოკლულთან სხვა-და-სხვა ჯიბრი ადი, ქონებრივი და ფულის ანგარიში და მოინდომეს მისი მოკვლა, რაც კიდეც აასრულეს. ამის გამო პირველს ბრალდება, რომ მან განიზრახა თავისი ძმის პართენ მაღრაძის მოკვლა, რომელთან მას მტრობა ჰქონდა ოჯახური საქმეების და მათ შორის საერთო ადგილის „ლაშხუმის“ყაყოფის გამო; ამა წინ მოელაპარაკა მკვლელებზე სხვა პირთ და ღამით 28 ნოემბერს 1897 წლ. თავის სოფელს მარელისში ზემოდ ჩამოთვლილ პირებთან ერთად მათი დარებით მოჰკლა პართენ მაღრაძე, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრა რევოლვერით, ხანჯლით და კეტით თავსა და მუცელში, მაშინვე, იმავე ადგილას გლახუა მაღარაძემ მოკლა ნინა მაღარაძე, თავისი რძლის, უკვე მოკლულის პართენის ცოლი, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრა რევოლვერით მკერდში და თავზე კეტის ცემა დაუწყო, იმავე დროს მან მოჰკლა თავისი ძმის, მოკლულის პართენის ორი თვის ქალი ბარბალე მაღრაძე, მეორე და მესამეს იგივე ბრალდებათ ხოლო უკანასკნელმა ჩაიდინა ყველა დანაშაული მხოლოდ იმიტომ რომ მას, სოლომონ გვერდწითელს პართენ მაღრაძესთან მტრობა ჰქონდა ვითომ მზითვის შეუსრულებლობის გამო.

18 მარტს 1898 წ. ქუთაისის ოლქის სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულთ გლახუა და სარდიონ მაღრაძეს და აზნ. სოლომონ გვერდწითელს სავსებით დაუმტკიცდათ პართენ, ნინა და ბაბალე მაღრაძეების წინა-განზრახულება მოკვლა, რომ თვითეული მათგანი მოქმედებდა ცალ-ცალკე და მიაჯა გლახუას და სარდიონს უვადო კატორღა, ხოლო აზნ. სოლომონ გვერდწითელს (20 წლის ხალგაზრდას) 13 წლისა და 4 თვის კატორგა.

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი.

ფ. ფ.“)

თეატრის მატიანე

—

ს. კულაში. ქართული წარმოდგენა. 26 ივლისს, ქუთაისის ქართული დრამატიული დასის დახარებით ბ. ვ. ალექაი-მესხიშვილმა გამართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ვ. გუნიას ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“. წარმოდგენამ ძლიერ ცუდად ჩაიარა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. პირველი მიზეზი ის იყო, რომ სცენა ძლიერ ცუდათ და უხერხულად იყო აშენებული, მეორე მიზეზი ის იყო, რომ მომქმედნი პირნი მეტად შეუფერებელი იყვნენ თავიანთი როლებისა. ძრიელ საკვირველია ბ. მესხიშვილისაგან, თუ როგორ გაბედა და გამოიყვანა ქქ. გვეტაძე მარინეს როლში და ჩიქოვანი გადიას როლში, როდესაც ისინი უბრალო მოსამსახურეების როლშიაც არ არიან ჯერ-ჯერობით გამოსაყვანნი.

ძრიელ ცუდად უფიქრნია ბ. მესხიშვილს, თუ მას ეგონა, რომ კულაში სოფელია და ვერას მიხვდებიანო. უკაცრავად ბატონო! ჩვენც შეგვიძლია კარგი ცუდისგან გავარჩიოთ, ამას წინად გაზეთშიაც სწერდნენ, რომ კარგი იქნება თუ სცენის მოყვარენი თავს დაანებებდნენ იმისთანა პიესის თამაშს დაბა-სოფლებში, როგორიც არის „სამშობლო“ და „და-ძმა“-ო, რადგანაც იმათ არ შეუძლიანთ ამ პიესებში როლების შესრულება და ამით პიესას სახელს უფუჭებენო. თუ იმით იხელმძღვანელებდა ბ. მესხიშვილი, რომ სხვა არავინ ჰყავდა რომ ეთამაშნა ეს როლები, მაშინ თავი დაენებებინა ამ პიესისათვის და სხვა რამ დაედგა და უხორცობის გამო ძაღლის ხორცი არ მოეცა პირში საღეჭად, და თუ იმას ფიქრობდა, რომ სოფელში გამოვსცდი, რადგანაც სოფელში ყრუ ხალხია და ვერაფერს გაიგებენ და მერმე ქუთაისში ვათამაშებო, ეს ძრიელ საწყენია, რადგანაც ამ პიესას დიდ ძალი ხალხი დაესწრო, მაშასადამე გაეგებათ პიესის ძალა და თუ პიესა გაეგებათ, მათი როლების აღმასრულებლებსაც გაარჩევენ.

ბატონი მესხიშვილი შესანიშნავი კარგი იყო გაიოზის როლში, თუმცა „კულაშელი მარინე“ ზოგიერთ კარგ სცენებს უფუჭებდა, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. ოტია ჯოლიას როლს თამაშობდა ბ. ქუჯი და ეტყობოდა, რომ უმეცადნია როლის სწავლაში, რადგანაც ითამაშა კარგად. დანარჩენი მოთამაშენიც კარგად თამაშობდნენ. დიდი მადლობის ღირსია ბ. მესხიშვილი, რომ უკადრა და აჩვენა ჩვენს, ვითომც და ყრუ საზოგადოებას თავისი ტალანტი. იმედია, რომ იგი არ იწყენს ამ მცირე შენიშვნას და არ დაგვემდურება, რადგანაც ყოველივე ზემოხსენებული მართალი არის.

ყრუ კულაშელი

—

იქადანვე იმავ წარმოდგენაზე. კვირას 26 ივლისს კულაში, ნორმალურ სკოლის დარბაზში გაიმართა ქართული წარმოდგენა ბ. სტუდენტ კანდელაკის თაოსნობით და მისივე სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო „და-ძმა“ დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდა ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი თავისი დასით. წარმოდგენაზე ხალხი ბევრი დაესწრო. სცენა მეტად ცუდად იყო გამართული და ამიტომ წარმოდგენა სხივს იყო მოკლებული. ბილეთები ნომრებით იყო გაყიდული და საჯდომი სკამებიც დანომრული იყო, მაგრამ ფიცრები დამპალი მასალიდგან იყო გაკეთებული და სამ ადგილას ჩატყდა და ხალხი ძირს დაცვინდა და „ვაივუის“ გაიძახოდნენ. სკამების ნომერს არავინ არ უყურებდა, ვინც სადაც მოასწრებდა იქ ჯდებოდა, ორ მან ბილეთის მქონე ფეხზე ალაგს ვერ შოულობდა, წინა და უკან რიგის გარჩევა არ იყო და არც არავინ იყო ადგილის მაჩვენებელი. დარბაზში ისეთი ხმაურობა იყო და ხარხარ-არშიყობა გამართული, რომ სცენაზე ნალაპარაკევი არავის ესმოდა. ბილეთებიც უწესრიგოდ იყიდებოდა. შემოსავალი რა თქმა უნდა, ბევრი იყო.

ლავრენტი

—

დ. ყვირილა. ქართული წარმოდგენა. დაგვიარსდა სცენა დ. ყვირილაში თუ არა, წარმოდგენებიც გახშირდა. პ-ნმა ვ. ბალანჩივაძემ 26 ივლისს, აქ მეორეჯერ გამართა ქართული წარმოდგენა. ქ-ნ ივანიძის მონაწილეობით და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იყო „მშვენიერი ელენეს მაძიებლნი“ ორ მოქ. ფარსი ა. ცაგარლისა, „ოთხი იმერელი“ დ. მესხისა ვოდ. 1 მოქ. და დასასრულ დივერტისმენტი. მონაწილეობას ღებულობდნენ ქქ. ივანიძე, ბაქრაძე და ბარბარენკოსი, ბბ. ვ. ბალანჩივაძე, მ—ძე, არაბიძე, ყ—ტი, ს ძე და სხვ. წარმოდგენამ საზოგადოთ მხიარულად ჩაიარა და, ერთი სიტყვით დიდ სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი ახალგაზდა ქალები არ თაკილობენ სცენაზე თამაშს, რის მაგალითიც გვიჩვენა ქ-ნ ტუსია ბაქრაძის ასულმა, რომელმაც დაანახვა აქაურ ზოგიერთ ახალ-გაზდა ქალებს, რომლებსაც შეუძლია სცენაზედ თამაში, რომ სასირცხო-კი არა და, პირიქით სასახელოც არის; ამის შემდეგ სხვებსაც აღეძვრა სურვილი სცენაზედ თამაშობისა.

საზოგადოთ თავიანთი როლები ყველამ კარგად შეასრულა. აგრეთვე დიდათ ასიამოვნა დამსწრენი დივერტისმენტში ბ. იოსებ ფანცულიას მიერ გრძნობიერად წაკითხულმა ლექსებმა „გულის პასუხი“ და „გუთნის დედა“ ა. ყაზბეგისა და ვ. ბალანჩივაძის იმერულმა სცენებმა. აგრეთვე წაიკითხა ლექსი ბ. ლადო იაშვილმა „განთიადი“ და „ქართველი დედა“ აკაკისა. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა და ბევრიც დაესწრო, მაგრამ შემოსავალი კი, შედარებით ცოტა იყო, ესე იგი ექვს თუმნამდე ძლივს მიაღწია.

თავისუფალი

სათუჯახო ცნობა

(ქალების საყურადღებოდ)

ლამაზ ქალების გადაშენება. რუსეთის მწერალ ქალის ქ-ნის შჩაბელსკის აზრით, ლამაზი ქალები მალე გადაშენდებიან. ქალის სხეულით, ამბობს იგი, დასახიჩრებულია კორსეტით, რომელსაც რამდენიმე თაობა ხმარობს. ქალის სილამაზე ჩვენს დროში შექმნილია სულ მკერვალთა, თმის ოსტატთა და მღებავთაგან. ბ.ბ. „ოსტატები“ ჯანსაღი ქალის მოყვანილობის ნამდვილ სიმშვენეს კი არ აფასებენ, პირ-იქით შორს გაურბიან. მკერვალთა იდეალია 50 სანტიმეტრზე არა ფართე წელი და 115 სანტიმეტრის სიფართე გულმკერდი. ასეთი შეუხამებელი სივიწროვე წელისა გულმკერდთან შედარებით შეაძრწუნებს ანატომს (რომელიც ადამიანის აგებულებას იკვლევს), მაგრამ კორსეტის ოსტატები კი მხოლოდ იღიმებიან ასეთ შეძრწუნებაზე, მაშ ბამბა რისიდა მანქნისია აი კიდევ რეზინის ნაწარმოები, რომელიც სოცარი წარმატებით ვითარდება. რეზინა კიდევ რა. განსვენებული იმპერატრიცა, ავგუსტა, რომელიც პრუსიული ეტიკეტის ძალით ვალდებული იყო გულ-ღია ტანისამოსი ჩაეცვა, 70 წლის ქალი იყო, როცა ასეთი შემთხვევებისათვის ფაიფურის (ფარფორის) მხრებს იკეთებდა. ამ მხრების სათავეს ყელთან ბრილიანტის საყელურით იფარავდა, უკან კი დამალული ჰქონდა ლენაქებით. იმას, რასაც ეს დედოფალი შვრებოდა, „საზოგადოების შებრალებით“, (როგორც იგიონ ამბობდა), რადგან საზოგადოებას არაფრად ესიამოვნებოდა თავისი მოხუცი დედოფლის დამჭკნარ ბეჭების დანახვა, სწორედ ამასვე იმეორებენ დღევანდელი ჩვენი მოდის მიმდევარი

ქალბატონები, სულ სხვა და სხვა ჯურად, რასაკვირველია ყოველ დღე და ყოველ საათში. ტყუილად კი არ ამბობდა შესანიშნავი ვორტი, რომ მოდოსის ვენერას უსაძაგლესი მოყვანილობა აქვსო, თმის ოსტატებს გული უწუხთ, როცა მათ ხეირიანი თმა უნდა დავარცხნონ. განრაზებით იგინებიან ისინი, მალვენ ცხრა მეათედ გულუდებს და შეუბრალებლად წნავენ უგანასკნელ ნაწნავს „მოდურ შრიშოსკად“, რომლის ნიმუშად ალბად ყვავის ბუდე აქვთ აღებული. მეწექმეები რაღაც მანქანებით ისეთ ფეხსაცმელს აკეთებენ, რომლითაც რაც გნებავთ, იმას იზამთ, მხოლოდ ქუჩაზე კი ვერ გაივლით ადამიანურად და როცა ქალს ასეთი ფეხსაცმელი ნახევარ საათის შემდეგ გაუსკდება და მოუტანს გამყიდველს, ეს უკანასკნელი განრაზებული კილოთი ეუბნება: „თქვენ კიდევ იყიდეთ ახალიო!“

ბისმარკიანი

ბისმარკის გულქვაობა. ახირებული კაცი იყო ბისმარკი. ერთ მშვენიერ დღეს ის ერთი თვისი მეგობრით სანადიროთ წავიდა. გზაში მათ მეხვდათ ბალახით მოფარულ ჭაობზე გავლა, სქელი და მძიმე მეგობარი ჩაეფლო ჭაობში. რაკი თვითონ ვერ მოახერხა ჭაობიდან ამოსვლა, მან ბისმარკს სთხოვა მიშველეო, რადგან ჭაობი მას სულ უფრო-და-უფრო ითრევდა და თითქმის მკლავებამდე ჩაითრია. მაგრამ ბისმარკი ყურსაც არ იბერტყავს, ის მიდის წინ ნელა და აკვირდება, ნადირი ხომ არსად არისო; საბრალო მეგობარი ემუდარება მას ჩქარა მომეშველეო, თორემ უთუოდ დავიხრჩობიო. „ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეუბნება მას ბისმარკი დამშვიდებით, მეეჭვება, რომ თქვენ ჭაობიდან ამოხვიდეთ და ვერც მე ამოგიყვან, შეუძლებელია. მე მეტის-მეტად მემძიმება ვუყურო თქვენს უსარგებლო ჯახირს და იმას, თუ როგორ ჩაიხრჩობით ამ საძაგელ ლაფში. გამიგონე, ძმობილო, მე მსურს გაგანთავისუფლო ხანგრძლივი წვალებისაგან, იმიტომ რომ დახრჩობისთანა საშინელი რამ არა არის რა; ამიტომ მე თქვენ შუბლში ტყვიას გკრავ, რომ სწრაფად და ღირსეულად მოჰკვდეთ. „ხომ არ გაგიჟებულხართ? შეჰყვირა მეგობარმა და თავგანწირვით გაქან-გამოქანდა ჭაობიდან თავის დასახწევად. მე არა მსურს დავიხრჩო არც დახვრეტა მსურს ტყვიით მომეხმარეთ, რომ როგორმე ამოვიდე აქედან.“ ბისმარკმა დაუმიზნა თოფი და უპასუხა: „ნუ გაინძრევით ერთ წუთს ახლავე ყველაფერი გათავდება. მშვიდობით, საყვარელო მეგობარო, მე ვუამბობ თქვენი უკანასკნელი წუთების ამბავს საბრალო თქვენს ცოლს“: თავზარ დაცემულმა მონადირემ იხმარა უკანასკნელი ძალ-ღონე და რაღაც მუხლის ამოძრავებით ძვალებიდან მშრალ მიწამდე. როგორც კი მან სამშვიდობოში იგრძნო თავი, დაუწყო ბისმარკს განრაზებით ლანძღვა, ბისმარკმა კი ღიმილით უპასუხა: „ხომ გითხარით, ყველა უშველის თავის თავს თუ მოინდომებს-მეთქი“.

რედაქციისაგან

კავკავში. პ. ა. გ. მოსულიშვილს თქვენი თარგმანი კარგია და თავის დროზე დაიბეჭდება პატარა წიგნაკად.

ფარცხანაყანევში. ი. გ—ძეს თქვენი კითხვა ებრაელების შესახებ დასაბეჭდათ მოუხერხებელია.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და
მიკლესიებშიაც
ცხოვრება დიდისა მოწამისა
იაკობ დაჭრილისა
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა
ფასი ერთი შაური (10—8)

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო

ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ლეფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
Музыкальное депо
Б. М. Мириманіана
Тифлисъ, Дворцов. ул.
(54—38)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში
ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დებულობს
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—55)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 - 34)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгалтеріи** двой ой итальянской по разнымъ отраслямъ торговой пр мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи.**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.
препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. се хоз. кредита и препод. школы садоводства.**
Плата за весь курсъ 60 руб.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-х часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяц
Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и шко садоводства.
Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бренне, ъ книга «Коммерческая ариѳм тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетах 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) то говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 з дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**
(100—32

озволено цензурою. Тифлисъ, 1 Августа 1898 г. სტ. „ცნ. ფურ.“ (ვ. ბუნიასი), სას. ქ. სთ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ზუ